FCC-ის შესაბამისობის პოლიტიკა

29 ივლისი 2024

სარჩევი

0.	ვერსიების კონტროლი	2
1.	შესავალი	3
2.	მიზანი	3
3.	გამოყენების სფერო	4
4.	ეთიკის და შესაბამისობის პრინციპები	4
5.	შესაბამისობის ფუნქციის სტრუქტურა	6
6.	შიდა საინფორმაციო სისტემა. ეთიკის არხი	9
7.	გავრცელება და მომზადება	9
8.	უწყვეტი განახლება და გაუმჯობესება	10
9.	დამტკიცება და ცვლილება	10

0. ვერსიების კონტროლი

1	2024 წლის 29 ივლისი	საწყისი ვერსია. დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ

1. შესავალი

FOMENTO DE CONSTRUCCIONES Y CONTRATAS, S.A. დირექტორთა საბჭო (“**FCC**” რომელიც ასევე მოხსენებულია როგორც “**კომპანია,**”) უფლებამოსილია განსაზღვროს კომპანიისა და ჯგუფის წევრი კომპანიების ზოგადი პოლიტიკა და სტრატეგია, რომლის მთავარ სუბიექტს, კანონის შესაბამისად, წარმოადგენს კომპანია (შემდგომში მოხსენებული როგორც „კომპანია“, “**FCC ჯგუფი**” ან “**ჯგუფი**”) და ასევე კომპანიაში შემოიღოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის მოდელი, რომელიც მოიცავს ზედამხედველობისა და კონტროლის ზომებს კანონის ან FCC-ს ეთიკის და ქცევის კოდექსის და სხვა რეგულაციების მოთხოვნებთან შეუსაბამობის პრევენციისა და რისკების აღმოჩენის მიზნით, მათ შორის კრიმინალურ დანაშაულებთან დაკავშირებით, ასევე მინიმუმამდე შეამციროს მათი პოტენციური ზეგავლენა და უზრუნველყოს ეთიკური გარემო FCC-ში.

FCC-ს დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა FCC ჯგუფის ეთიკის და ქცევის კოდექსი (**„ეთიკის და ქცევის კოდექსი**“), რომელშიც ჩამოყალიბებულია FCC-ის და FCC ჯგუფის სხვა წევრი კომპანიების ვალდებულება აწარმოონ თავიანთი ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა იმ იურისდიქციებში, სადაც ასრულებენ საქმიანობას და კომპანიის წესების და პროცედურების დაცვით, ეთიკის და ქცევის კოდექსში მითითებული ღირებულებების და პრინციპების შესაბამისად, და არ დაუშვან და გამოიჩინონ ნულოვანი ტოლერანტობა ნებისმიერი ისეთი ქცევის მიმართ, რომელიც წარმოადგენს უკანონო ქმედებას და ეწინააღმდეგება კომპანიის შიდა წესებს.

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ღირებულებებისა და პრინციპების მნიშვნელობის და ასევე FCC ჯგუფის ეთიკური, კანონის დაცვისა და შესაბამისობის კულტურის ეფექტური დანერგვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, კომპანია მუდმივად ცდილობს დახვეწოს შესაბამისობის საკითხები (**„პოლიტიკა**“).

პოლიტიკაში მკაფიოდ მითითებულია კომპანიის ვალდებულება სათანადოდ აკონტროლოს მისი დირექტორთა საბჭოს წევრები, მენეჯერები და თანამშრომლები მოქმედ შიდა და გარე რეგულაციებთან შესაბამისობის მიზნით და თავიდან აიცილოს, აღმოაჩინოს და აღმოფხვრას ისეთი ქცევა, რომელიც არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება მოცემულ წესებს.

მოცემული პოლიტიკის პირველი ვერსია დამტკიცდა FCC-ის დირექტორთა საბჭოს 2024 წლის 29 ივლისი სხდომაზე და ავითარებს **ეთიკის და ქცევის კოდექსის** და ჯგუფის სხვა შიდა წესების შინაარს შესაბამისობასთან დაკავშირებით FCC-ის შესაბამისობის მოდელის მიხედვით.

2. მიზანი

მოცემული შესაბამისობის პოლიტიკის მიზანია დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობით და მისი პასუხისმგებლობით განსაზღვროს FCC-ის ძირითადი პრინციპები და მოქმედების ზოგადი სფერო შესაბამისობის საკითხებში, იმ სტრატეგიული, სამუშაო და ორგანიზაციული მიმართულებების ხელშეწყობით, რომლებიც საშუალებას აძლევს მიაღწიოს საკუთარ ბიზნეს მიზნებს, საქმიანობაში წესები დაცვითა და სრულყოფილებისკენ სწრაფვით.

დირექტორთა საბჭოს შეუძლია FCC-ის შესაბამისობის მოდელის ზედამხედველობის ფუნქციები დაავალოს აუდიტისა და კონტროლის კომიტეტს, როგორც გათვალისწინებულია დირექტორთა

საბჭოს წესებში. მოცემული პოლიტიკის მსგავსად, ბიზნესის და ქვეყნების მთავარი კომპანიების დირექტორთა საბჭოს შეუძლია საზედამხედველო ფუნქციები დაავალოს აუდიტის და კონტროლის კომიტეტს ან საბჭოს კომიტეტს, რომელსაც აქვს დელეგირებული მოცემული ფუნქციები.

3. გამოყენების სფერო

შესაბამისობის პოლიტიკა გამოყენებული იქნება FCC-ს და სხვა კომპანიების მიმართ, რომლებიც არიან FCC ჯგუფის შემადგენლობაში, იმ შემთხვევებში, თუ მოცემულ კომპანიებს არ გააჩნიათ საკუთარი შესაბამისობის პოლიტიკა, რაც კანონით სავალდებულოა. ამ შემთხვევაში, მოცემულ პოლიტიკას დაამტკიცებენ შესაბამისი მშობელი კომპანიების ადმინისტრაციული ორგანოები, კორპორატიული შესაბამისობის კომიტეტის თანხმობით და ის შესაბამისობაში იქნება ამ პოლიტიკით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებთან, სადაც ნებისმიერ შემთხვევაში, შესაბამისობის პოლიტიკა იქნება უფრო მეტად შემზღუდველი ასეთ პოლიტიკასთან შედარებით.

ეს პოლიტიკა სავალდებულოა დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის, დირექტორებისთვის და FCC-ის ყველა თანამშრომლისთვის, მიუხედავად მათი პოზიციისა, პასუხისმგებლობისა თუ გეოგრაფიული მდებარეობისა.

საკუთარ ურთიერთობებში ბიზნეს პარტნიორებთან და კერძოდ, მონაწილე კომპანიებთან (სპეციალური დანიშნულების კომპანიები, ერთობლივი საწარმოები, კონსორციუმები, დროებითი ბიზნეს ორგანზიაციები და სხვა ეკვივალენტური ასოციაციები), რომელთა მიმართ მოცემული პოლიტიკა არ გამოიყენება, რადგან ისინი არ არიან FCC ჯგუფის ნაწილი. FCC ჯგუფში შემავალმა კომპანიამ ზემოხსენებული კომპანიების ხელმძღვანელ ორგანოებში არსებული საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით, უზრუნველყოფს ზემოხსენებული კომპანიების წესების მოცემულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას შესაბამისობის საკითხებში FCC-ს დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პარტნიორებთან ურთიერთობის პოლიტიკის დებულებების შესაბამისად.

4. ეთიკის და შესაბამისობის პრინციპები

ეთიკის და ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკისა და შესაბამისობის პრინციპები, რომლებზეც დაფუძნებულია FCC ჯგუფის ქმედებები, შემდეგია:

i. დაიცავით მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში და წესები, ყოველთვის იმოქმედეთ კანონის შესაბამისად და ეთიკის და ქცევის კოდექსისა და სხვა მოქმედი შინაგანაწესის ფარგლებში.

ii. ხელი შეუწყვეთ შესაბამისობის კულტურის დანერგვას, რომელიც დაფუძნებულია ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპზე უკანონო ან დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და, FCC-ის პრინციპებისა და ღირებულებების შესაბამისად, ეთიკურ, მკაცრად პროფესიონალურ და კეთილსინდისიერ ქცევაზე. არ უნდა დაუშვათ ისეთი ქცევა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს წესების დარღვევა ან უკანონო ქმედება ან ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება FCC-ის შესაბამისობის მოდელს.

iii. უნდა მოხდეს შესაბამისობის მოდელის შემუშავება, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კანონმდებლობის და კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის გათვალისწინებით, რომელიც არის ეფექტური და მოცემულ საკითხში შესაბამისობაშია საუკეთესო ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკასთან. ამრიგად, აღნიშნული მოდელის შესაბამისად, არასათანადო და უკანონო ან შიდა რეგულაციების დარღვევით ჩადენილ ქმედებებთან დაკავშირებული რისკები გამოვლინდება, შეფასდება და შემცირდება ჯგუფის კომპანიების მთელ საქმიანობაში, თითოეულ შემთხვევაში შესაბამისი კონტროლისა და პროცედურების გამოყენებით, მოხდება შესაბამისობის მოდელის ისევე როგორც თვით მოდელის შეფასების შედეგების პერიოდული განხილვა და მუდმივი გაუმჯობესება, ნებისმიერი შესაძლო სტრუქტურული და ნორმატიული ცვლილების გათვალისწინებით.

iv. სამართლებრივი ვალდებულებების, ეთიკის და ქცევის კოდექსის და შიდა წესებისა და პროცედურების ცოდნისა და დაცვის ხელშეწყობა, სწავლებისა და კომუნიკაციის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

v. მოქმედი თუ გადაწყვეტილების მიმღები ადამიანების თვითკონტროლის პროცესის ხელშეწყობა, რომლებზეც მოცემული პოლიტიკა ვრცელდება.

vi. ზემოაღნიშნულის თანახმად, შესაბამისი შიდა არხების ხელშეწყობა, გამოყენება და ამ არხებით სარგებლობისკენ მოწოდება ნებისმიერი უკანონო საქციელის თუ შიდა წესების დარღვევის შესახებ შესატყობინებლად, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოების წევრებისა და დირექტორებისადმი და ასევე FCC-ს თანამშრომლებისადმი შეტყობინების მიზნით და ინფორმირების ვალდებულება კომპანიაში მომხდარი ნებისმიერი ისეთი ფაქტის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან დარღვევას ან უკანონო ქმედებას ან ეწინააღმდგება კომპანიის შიდა წესებს, კერძოდ, შეტყობინება ნებისმიერი სერიოზული თუ არასერიოზული დანაშაულის ან ადმინისტრაციული დარღვევის ან ნებისმიერი ისეთი ქცევის შესახებ, რომელიც ევროკავშირში შეიძლება წარმოადგენდეს კანონდარღვევას და თუ ამის მტკიცებულებები არსებობს.

ამ თვალსაზრისით, კომპანიას აქვს შიდა საინფორმაციო სისტემა (“**შიდა საინფორმაციო სისტემა**” ან უბრალოდ “**სისტემა**”), რომელიც არის FCC-ს საერთაშორისო საინფორმაციო არხის, ე.წ. მხილების არხის ნაწილი („**მხილების არხი**“), და იძლევა ამ არხით მიღებული ნებისმიერი შეტყობინების/საჩივრის, მათ შორის, ანონიმურად მიწოდებულის, ეფექტური განხილვის გარანტიას, მამხილებლის კონფიდენციალურობის სრული დაცვით, და ასევე მხილებულის უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დაცვის უფლებების გათვალისწინებით, დაზარელებულის სასარგებლოდ და მისი კონფიდენციალურობის დაცვით, შიდა საინფორმაციო სისტემის პოლიტიკისა და ზემოხსენებული სისტემის პროცედურების შესაბამისად, რომლებიც შემოღებულია FCC-ს დირექტორთა საბჭოს მიერ.

vii. სრული დახმარებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა, რაც შეიძლება დასჭირდეს სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებს ან ეროვნულ თუ საერთაშორისო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს სავარაუდო დარღვევის ან უკანონო ქმედებების გამოძიებისთვის, რომლებიც შეიძლება ჩადენილი იყოს ჯგუფის ხელმძღვანელების, დირექტორების ან თანამშრომლების ან ჯგუფის მიმწოდებლების, კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების მიერ, კომპანიის შესაბამისი დაცვის კონსტიტუციური უფლებით ლეგიტიმური სარგებლობის შეუზღუდველად.

viii. შესაბამისობის ფუნქციაზე პასუხისმგებელი ორგანოებისადმი წვდომის მინიჭება მთელ შესაბამის ინფორმაციაზე, მათი უფლებამოსილების განსახორციელებლად და აღნიშნულ ორგანოებთან ყველა სფეროს თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

5. შესაბამისობის ფუნქციის სტრუქტურა

5.1 დირექტორთა საბჭო და FCC-ის აუდიტის და კონტროლის კომისია

FCC-ს დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს ჯგუფის შესაბამისობის სტრატეგიას, რომელიც არის შეთანხმებული და ერთგვაროვანი ყველა სფეროსა და მის შემადგენლობაში არსებულ კომპანიებში და შემუშავებულია შესაბამისობის საუკეთესო ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და განსაზღვრავს შესაბამისობის ფუნდამენტურ წესებს და ნებისმიერ შემთხვევაში, უზრუნველყოფს ჯგუფის სტრატეგიულ ერთიანობას.

გარდა ამისა, ეს არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის, ჯგუფის და მის შემადგენლობაში მყოფი კომპანიების ორგანიზაციისა და მართვის მოდელის, ისევე როგორც FCC-ის შესაბამისობის მოდელის განსაზღვრაზე, რომელიც მოიცავს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზედამხედველობასა და კონტროლის ზომებს ამ პოლიტიკის დებულებების მოთხოვნების, ეთიკისა და ქცევის კოდექსის, კანონის და სხვა მოქმედი რეგულაციების მოთხოვნების დასაცავად.

FCC-ს შესაბამისობის მოდელი ორგანიზებულია დაცვის ხაზის სამ თავისებურებაზე დაყრდნობით.

ყველა პირი, რომელზედაც ვრცელდება მოცემული პოლიტიკა, მონაწილეობს მის გამოყენებასა და ეფექტურობაში დაცვის სამი ხაზის ზემოაღნიშნული მოდელის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც დაცვის პირველი ხაზის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სფეროები წარმოადგენს (i) დაცვის პირველ ხაზს, რომელიც მოიცავს ჯგუფის თითოეული კომპანიის ბიზნეს და კორპორატიულ საქმიანობას; (ii) დაცვის მეორე ხაზი არის შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქცია, რომელიც დამოუკიდებელია პირველი ხაზისგან; ხოლო (iii) დაცვის მესამე ხაზი არის შიდა აუდიტის სფერო, ანუ ფუნქცია, რომელიც თანაბრად დამოუკიდებელია ზემოხსენებული დაცვის პირველი ორი ხაზისგან.

FCC-ის დირექტორთა საბჭო ნიშნავს კომპანიის შესაბამისობის ფუნქციებზე პასუხისმგებელ ორგანოებს და გარანტიას იძლევა, რომ მათ აქვთ საკმარისი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები თავიანთი ფუნქციების სათანადოდ შესასრულებლად. ყოველივე ეს არ ზღუდავს ჯგუფის კომპანიების ადმინისტრაციული ორგანოების შესაბამის ვალდებულებებს.

ამ თვალსაზრისით, დირექტორთა საბჭო აუდიტის და კონტროლის კომიტეტის საშუალებით, დაამტკიცებს შესაბამისობის კომიტეტის ყოველწლიურ ბიუჯეტს, ისევე როგორც მის ყოველწლიური საქმიანობის გეგმას და ზედამხედველობას გაუწევს ამ გეგმის განხორციელებას, კომპანიის შესაბამისი ორგანოების ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე.

დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომისიის საშუალებით რომელიც სათანადო შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოსადმი მოცემული ფუნქციების დელეგირებას განახორციელებს, მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე დაფუძნებული მოქმედი ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე ყველა

რისკის სათანადო აღკვეთას, იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვასა და კონტროლს ზემოხსენებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

5.2 დაცვის პირველი ხაზი: პროცესების და კონტროლების მფლობელები

FCC-ის დაცვის პირველი ხაზი მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის თითოეული კომპანიის მიერ ბიზნეს და კორპორატიული საქმიანობის განხორციელებაზე, იმ სფეროებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათ პასუხისმგებლობაში არსებულ ან მათი მონაწილეობით მიმდინარე ოპერაციებსა და პროცესებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა, ისევე როგორც კონტროლის მექანიზმების შექმნა, რომლებიც ამცირებენ რისკებს მათ მიმართ მოქმედ წესებთან დაკავშირებით.

კერძოდ, FCC-ის შესაბამისობის მოდელი აგებულია რისკების ანალიზზე და ეფუძნება კონტროლის მექანიზმების სერია, რომლებიც, თავის მხრივ, ინტეგრირებულია პროცესების სერიაში და რომელიც წარმოადგენს კომპანიის აქტივობების სრულ სტრუქტურას. თითოეულ ამ პროცესს ჰყავს მფლობელი, რომელიც პირველ რიგში, პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში არსებული საქმიანობების მოქმედი წესების შესაბამისად განხორციელების ზედამხედველობასა და უზრუნველყოფაზე, ასევე მათ მიმართ შემოღებული კონტროლის ზომების სათანადოდ დანერგვაზე, რაც ამცირებს შესაბამისობის მოთხოვნების დარღვევის ნებისმიერ რისკს.

5.3 დაცვის მეორე ხაზი: შესაბამისობის ფუნქციის ორგანიზება

5.3.1 FCC-ს შესაბამისობის კომიტეტი

დაცვის მეორე ხაზი არის კომპანიაში დანერგილი შესაბამისობის ფუნქცია. ის დამოუკიდებელია ბიზნესისა და შიდა აუდიტის სფეროებისგან.

FCC-ს შესაბამისობის კომიტეტი არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია FCC-ში დანერგილი შესაბამისობის მოდელის ფუნქციონირებაზე და მის სათანადოდ შემუშავებასა და შესრულებაზე, ასევე უზრუნველყოფს ეთიკისა და ქცევის კოდექსთან შესაბამისობას, კომპანიაში ეთიკისა და კეთილსინდისიერების კულტურის პოპულარიზაციას და ასევე პასუხისმგებელია FCC-ის შიდა ანგარიშგების სისტემაზე, ყველა იმ პასუხისმგებლობის ჩათვლით, რომელიც შეეხება კომპანიის სხვა ორგანოებსა და ხელმძღვანელობას, ასევე ჯგუფის სხვა კომპანიების ორგანოებსა და ხელმძღვანელობას.

FCC-ს შესაბამისობის კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, აყალიბებს კოორდინაციის შესაბამის მექანიზმებს ჯგუფის მშობელი კომპანიების შესაბამისობის კომიტეტებთან რათა ეფექტურად უზრუნველყოს მოცემულ პოლიტიკასთან შესაბამისობა.

შესაბამისობის კომიტეტს ექნება ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა და ასევე ინიციატივისა და მართვის სათანადო უფლებამოსილება რათა მუდმივი ზედამხედველობა გაუწიოს ოპერირების პროცესს, ეფექტურობას და მოცემულ პოლიტიკასთან შესაბამისობას და მოარგოს შესაბამისობის მოდელი კომპანიის საჭიროებებსა და გარემოებებს.

შესაბამისობის კომიტეტის წევრებს ნიშნავს დირექტორთა საბჭო სათანადო უნარების, გამოცდილების და პროფესიული კვალიფიკაციის საფუძველზე.

შესაბამისობის კომიტეტი ასრულებს დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფუნქციებს, რომლებიც მითითებულია FCC-ს შესაბამისობის კომიტეტის მიერ დამტკიცებულ დებულებებში.

შესბამისობის კომიტეტი საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებით პერიოდულად ანგარიშს აბარებს დირექტორთა საბჭოს აუდიტის და კონტროლის კომიტეტის საშუალებით. ნებისმიერ შემთხვევაში და სასწრაფოდ, განსაკუთრებით მძიმე სიტუაციის წარმოქმნისას.

5.3.2. კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი

გარდა ამისა, კომპანიას ყავს კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი, რომელიც დანიშნული იქნება FCC-ის დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია დამოუკიდებლად განსჯის უნარი.

ზოგადად, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერს მოდელის ფარგლებში ეკისრება აღსრულებითი ამოცანები და სათანადო შემთხვევაში, ის ჩამოაყალიბებს კოორდინაციის შესაბამის მექანიზმებს ჯგუფის მშობელი კომპანიების შესაბამისობის კომიტეტების მოცემულ პოლიტიკასთან ეფექტური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის ფუნქციები უფრო ვრცლად მითითებული იქნება შესაბამისობის კომიტეტის რეგლამენტში.

5.3.3. ბიზნესის შესაბამისობის კომიტეტები

თითოეულ კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელია FCC-ის ძირითადი ბიზნესის მართვაზე, ეყოლება შესაბამისობის კომიტეტი, როგორც ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული კომპანიის შესაბამისობის ფუნქციებზე, რომელიც, გარდა აღნიშნული კომპანიის შესაბამისობის ფუნქციების განხორციელებისა, ასევე შეასრულებს კოორდინაციის ამოცანებს და აწარმოებს იმ ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მისი მონაწილეობით მოქმედი თითოეული კომპანიის შესაბამისობის ფუნქციაზე. მის წევრებს ასევე უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ტექნიკური კომპეტენცია და დამოუკიდებლად განსჯის უნარი, რაც აუცილებელია მისი ფუნქციის განსახორციელებლად.

ჯგუფის მშობელი კომერციული კომპანიების შესაბამისობის კომიტეტები სათანადო შემთხვევაში, პასუხისმგებლები იქნებიან შესაბამისი ჯგუფის კომპანი(ებ)ის შესაბამისობაზე, და გაითვალისწინებენ აღნიშნული კომპანი(ებ)ის მახასიათებლებს და შესაბამისი იურისდიქციის სამართლებრივ მოთხოვნებს. მის მასშტაბს და პროფილს გადაწყვეტენ თითოეული კომპანიის ადმინისტრაციული ორგანოები, საკუთარი მახასიათებლების გათვალისწინებით, ამ პოლიტიკის შესაბამისად და FCC შესაბამისობის კომიტეტის მიერ ჯგუფის დონეზე დადგენილი ზოგადი სტრატეგიისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

5.3.4. ბიზნესის შესაბამისობის ოფიცრები

თითოეულ ძირითად კომპანიაში, რომელიც მართავს FCC-ს ძირითად ბიზნესს, სათანადო შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობით, მოცემული ორგანოს მიერ დანიშნული ეყოლება შესაბამისობის ოფიცერი, რომელიც ინტეგრირებული იქნება მოცემული კომპანიის შესაბამისობის კომიტეტში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კომპანიის შესაბამისობის მოდელის განხორციელების ამოცანებზე მოცემული პოლიტიკის და კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მიერ ჯგუფის დონეზე დანერგილი ზოგადი სტრატეგიისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

5.4 დაცვის მესამე ხაზი: შიდა აუდიტი

დაბოლოს, შიდა აუდიტის ფუნქცია ასევე წარმოადგენს FCC-ის შესაბამისობის მოდელის ელემენტს, როგორც დაცვის მესამე ხაზს, რომელიც მოქმედებს ზემოხსენებული დაცვის პირველი ორი ხაზისგან სრულიად დამოუკიდებლად და მათგან განცალკევებით, ამოწმებს როგორც ერთი ასევე მეორე ხაზის ეფექტურობას მოქმედების საკუთარი კონკრეტული პროცედურების დაცვით და აუდიტის საკუთარი წლიური გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აუდიტის და კონტროლის კომიტეტის მიერ და ხორციელდება შიდა აუდიტის სექტორის მიერ.

6. შიდა ანგარიშგების სისტემა. მხილების არხი

FCC-ს გააჩნია შიდა ანგარიშგების სისტემა, რომელიც წარმოადგენს მხილების არხის ნაწილს. ამ სისტემის რეგულირების ზოგადი პრინციპები შედის კომპანიის ეთიკისა და ქცევის კოდექსში და FCC-ის შიდა ანგარიშგების სისტემის პოლიტიკაში.

შესაბამისობის კომიტეტი პასუხისმგებელი იქნება კომპანიის შიდა ანგარიშგების სისტემაზე. სისტემის მართვისა და საგამოძიებო ფაილების დამუშავების უფლებამოსილება გადაეცემა კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერს, რომელიც თავის მხრივ არის შესაბამისობის კომიტეტის წევრი.

ეთიკის არხი ხელმისწვდომია FCC-ს ყველა თანამშრომლისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისთვის, ესპანეთის 2/2023 კანონის შესაბამისად, რომლითაც ესპანეთის სამართლებრივ სისტემაში გადმოტანილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივა (UE) 2019\1937. ანალოგიურად, ზემოაღნიშნული არხი ხელმისაწვდომია ნებისმიერი სხვა პირისთვის, რომელიც გათვალისწინებულია სხვა რეგულაციებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ იურისდიქციებში, სადაც FCC მოქმედებს.

აღნიშნული არხი იქნება უპირატესი მექანიზმი იმ დარღვევებთან ან ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ეთიკის და ქცევის კოდექსის დებულებებს, კანონმდებლობას ან ნებისმიერ შიდა რეგულაციას კერძოდ, წარმოადგენდნენ დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, სერიოზულ ან მძიმე დანაშაულს ან ევროკავშირის კანონის დარღვევას, რომლის შესახებაც ცნობილია წინა პუნქტში მოხსენებული ნებისმიერი პირთვის, მამხილებელთა დამცველი დამოუკიდებელი ორგანოსადმი ან ნებისმიერი სხვა კომპეტენტური უწყებისადმი ან ორგანოსადმი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობის შეზღუდვის გარეშე.

ანალოგიურად, FCC ჯგუფის კომპანიები დაიცავენ ნებისმიერ კანონს, რომელიც დაკავშირებულია მამხილებლის დაცვასა და შიდა ანგარიშგების სისტემის რეგულირებასთან, რომელიც გამოიყენება იმ იურისდიქციებში, სადაც აღნიშნული კომპანიები მოქმედებენ.

7. გავრცელება და მომზადება

მოცემული შესაბამისობის პოლიტიკა გაუმჟღავნდება და ეცნობება კომპანიის ყველა წევრს და ისინი ვალდებულნი იქნებიან მოიქცნენ მასში დადგენილი პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად.

შესაბამისობის პოლიტიკის გავრცელებაზე პასუხისმგებელია შესაბამისობის აუდიტი, რომელიც ფოკუსირებულია შესაბამისობისა და FCC ჯგუფის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის პრინციპების დაცვის მნიშვნელობაზე.

FCC ჯგუფს გააჩნია სასწავლო გეგმა, რომელიც სხვა საკითხებს შორის, ასევე მოიცავს შესაბამისობის და განსაკუთრებით, კრიმინალური რისკის პრევენციაში მომზადების სავალდებულო პროგრამებს.

8. უწყვეტი განახლება და გაუმჯობესება

FCC-ს შესაბამისობის მოდელის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის ფარგლებში, ეს პოლიტიკა პერიოდულად გადაიხედება და განახლდება, საჭიროების შემთხვევაში, რათა შესაბამისობაში იყოს არსებულ საუკეთესო სტანდარტებსა და პრაქტიკასთან.

9. დამტკიცება და ცვლილება

ამ პოლიტიკის პირველი ვერსია დაამტკიცა FCC-ის დირექტორთა საბჭომ 2024 წლის 29 ივლისის სხდომაზე.

ეს პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს FCC-ის დირექტორთა საბჭოს მიერ, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს, საკუთარი ინიციატივით, აუდიტის და კონტროლის კომისიის ან FCC-ს შესაბამისობის კომიტეტის მეშვეობით.